კუბა, 1978

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 151 (6206)

1978 წ. 3 აგვისტო ხუთშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




# ფიზკულტურასა და სპორტს — კომკავშირული ზრუნვა!

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდან

როგორც ვიუწყებოდით, გაიმართა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთ განსახილველ საკითხად შეადგენდა „ახალგაზრდობის დასვენების უნარიანი მოწყობის საქმეში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის როლის ამაღლებისათვის რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები".

მოხსენებით აღნიშნულ საკითხზე გამოვიდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. ორჯონიკიძე.

გთავაზობთ პლენუმზე ამ საკითხის განხილვის ანგარიშს შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

— „ყოველი ახალგაზრდა კაცის მოთხოვნილებების ფორმირების ჰარმონიული განვითარების სხვა საკითხებთან ერთად მწვავედ დგას პრობლემა ახალგაზრდობის, ჩვენი მოზარდი თაობის ყოველდღიური, სისტემატური დაინტერესებისა ფიზიკური კულტურითა და სპორტით... სპორტული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იქნას ფიზიკურ კულტურაზე ყველასათვის, ტურიზმზე ყველასათვის, სპორტზე ყველასათვის", — ასეთია საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის ერთ-ერთი განაწესი, — აღნიშნა მომხსენებელმა, — და, ამდენად, დღევანდელმა პლენუმმა, იხილავს რა საკითხს: „რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, ახალგაზრდობის და თავისუფალი დროის ორგანიზაციის საქმეში ფიზიკურ-მასობრივი და სპორტული მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების შესახებ", — ამომწურავი პასუხი უნდა გასცეს, ერთის მხრივ, იმაზე, თუ როგორ ვახორციელებთ ყრილობის ამ მოთხოვნას, როგორ სრულდება ყრილობის წინადადებანი და რეკომენდაციები ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის, მისი თავისუფალი დროის ორგანიზაციის, მასობრივი სპორტის განვითარების შესახებ.

და მეორეს მხრივ იმაზე, თუ როგორ ვახორციელებთ პრაქტიკაში ახალგაზრდობის ფიზიკური განვითარებისა და სრულყოფის, მისი ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მომზადების კომპლექსურ სისტემას, როგორია ჩვენი ამოცანები ამ მიმართებით მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საკითხი, რომელსაც დღეს იხილავს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, მჭიდროდაა დაკავშირებული პარტიული პლენუმის განაწესთან, რადგან ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საკითხები — განიხილება ახალგაზრდობის მორალურ სახესთან, ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის სისტემასთან მჭიდრო, დიალექტიკურ კავშირში.

ასეთი დიალექტიკური კავშირის ძირითადი მიმართულებები კი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

**პირველი:**

— ახალგაზრდობის ფიზიკური განვითარება და სრულყოფა, ზრუნვა მისი ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის.

**მეორე:**

— ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა — როგორც ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა.

**მესამე:**

— ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სრულყოფა — როგორც სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მომზადების აუცილებელი პირობა.

**მეოთხე:**

— ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა — როგორც მისი ხასიათის წრთობის, მორალური და ზნეობრივი სახის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი.

ყველა ეს მიმართულება რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ, მისი ყოველი რგოლისა და რეგიონის მიერ უნდა განიხილებოდეს პერსპექტივის პოზიციიდან, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე ახალგაზრდობასთან ინდივიდუალური, დიფერენცირებული მუშაობის ძირეულად გარდაქმნის პრიზმაში, — გასული წლის 2 ივლისს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის პრობლემებისადმი მიძღვნილი საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გამართული პრინციპული საუბრიდან გამომდინარე.

ერთი რამ უნდა აღინიშნოს ხაზგასმით — გარდა იმისა, რომ ფიზკულტურა და სპორტი ჯანმრთელობის უშრეტი წყაროა, რომ მას ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცების საქმეში, ფიზკულტურამ და სპორტმა — მისთვის დამახასიათებელი მრავალი სიკეთით — განსაკუთრებული სამსახური უნდა გაუწიოს ხალხის საერთო განწყობილებასაც, — სპორტული ბატალიები ხომ თავისი პერიპეტიებით გარკვეულ გავლენას ახდენენ ხალხის ფსიქიკაზე, მათს შრომითს განწყობილებაზე.

(დასასრული მე-2-3 გვ.).

# საინტერესო შეხვედრები

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის პროგრამაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი სპორტულ ასპარეზობებს. მრავალი სახელგანთქმული სპორტსმენი დაესწრო ჰავანის ფიზკულტურის ინსტიტუტში საერთაშორისო სპორტული ცენტრის საზეიმო გახსნას. აქ იყვნენ რენატა შტეხერი (გდრ), ბულგარელი იორდანკა ხრისტოვა, როლანდ მათესი (გდრ), საბჭოთა სპორტსმენი, მაგიდის ჩოგბურთელი ზოია რუდნოვა. სტუმრებს გულთბილ მასპინძლობას უწევდნენ საერთაშორისო სპორტული ცენტრის პრეზიდენტი ალბერტო ხუანტორენა, სილვიო ლეონარდი, ტეოფილო სტივენსონი, ველოსიპედისტი რუდოლფო პუენტე.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს გამოფენა — „სპორტის განვითარება კუბაზე". „უპირველესი მიზანი, — ამბობდა ფიდელ კასტრო, — ის არის, რომ სპორტი ემსახუროს ხალხის გაჯანსაღებასა და კეთილდღეობას. ჩვენ გვპირდება ჩემპიონებიც იმისათვის, რომ ისინი ახალგაზრდობისა და ბავშვებისათვის მაგალითის მიმცემნი არიან".

მოეწყო კუბისა და საფესტივალო ნაკრების მოკრივეთა მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ვ. ვისოცკი დამარცხდა ა. მილიანთან, ა. ხიზანიშვილი — ხ. ტორესთან, ა. იუშკიავიჩუსი — ო. პედროსოსთან. სამაგიეროდ საფარიკაო ბილიკებზე რაპირით შეჯიბრებაში ყველას აჯობა საბჭოთა სპორტსმენმა ა. რომანკოვმა.

ფესტივალის დღეებში კიდევ ბევრი საინტერესო შეჯიბრება გაიმართება.



## „ოქრო" გუნდთან ერთად

**ვიტყობინებოდით, რომ ზულში (გდრ) გამართულ კონტინენტის ჩემპიონატში მრგვალ სტენდზე ასპარეზობა საბჭოთა ნაკრებმა მოიგო. ამ გუნდის შემადგენლობაში მოსკოველებთან ა. ალიევთან და ა. სოკოლოვთან, სვერდლოვსკელ ა. ესელევთან ერთად გამოდიოდა თბილისელი თ. იმნაიშვილიც, რომელიც „ლოკომოტივის" წევრია. საბჭოთა სპორტსმენებმა 22 გუნდთან დავაში 571 ქულა მოაგროვეს და ოქროს მედლები მიიღეს.**

* * *

სურათზე: თ. იმნაიშვილი.

# მეხუთე საერთაშორისო...

ხარკოვში გრძელდება რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია"-ს პრიზზე, რომელიც წელს მეხუთედ ტარდება. საბჭოთა სპორტსმენებისთვის ამ ასპარეზობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: ნაკრების ხელმძღვანელობამ განიზრახა გადაახალისოს გუნდი, რომელიც კონტინენტის პირველობის უმაღლეს ლიგაში უნდა გამოვიდეს.

ჩვენი გუნდის ნაკრებში თბილისის „ლოკომოტივიდან" მიწვეული არიან მ. ჭვარიძე, ა. გიორგაძე და ... კოლასონია. გუნდში თამაშობენ აგრეთვე „ავიატორის", „სლავა"-ს, სსა-ს და სხვათა სპორტსმენები. ჩვენმა ნაკრებმა უკვე სამი გამარჯვება იზეიმა.

უკრაინის გუნდთან — 14:6, ჩეხოსლოვაკიის რეგბისტთა ნაკრებთან — 18:4, პოლონეთის გუნდთან — 28:13.

კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები, რუმინელი რეგბისტები, რომლებიც შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობენ, ამჯერად მეორე გუნდით არიან წარმოდგენილნი. მათ უკვე ორი შეხვედრა გამართეს და ორივეჯერ დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს, ჯერ მოუგეს პოლონელებს (51:16), ხოლო შემდეგ ჩეხოსლოვაკელებს (28:0).

ტურნირზე კიდევ ერთი მატჩი გაიმართა: უკრაინა — პოლონეთი — 9:4.

## კარპოვი სწირავს პაიკს, ხარისხს...

გუშინწინ ბაგიოში (ფილიპინები) ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში მსოფლიო პირველობაზე VII პარტია გაიმართა.

მეტოქეებმა ნიმცოვიჩის დაცვა გაითამაშეს. მე-6 სვლაზე კორჩნოიმ გამომწვევი გაგრძელება აირჩია. მსოფლიო ჩემპიონმა გაბედულად შესწირა პაიკი და ინიციატივისთვის მძაფრი ბრძოლა გაჩაღა.

მე-15 სვლაზე ხარისხის შეწირვით კარპოვმა პაიკთა ძლიერი მოძრავი ცენტრიააგო და იერიშის მომზადებას შეუდგა. კორჩნოი ხელს უშლიდა მეტოქის ჩანაფიქრის ხორცშესხმას, ორი მსუბუქი ფიგურა გაცვალა, მაგრამ მაინც დამცველის როლში დარჩა.

მოახლოვდა ცაიტნოტი. კარპოვმა ორი პაიკი მე-3 ჰორიზონტალამდე მიიყვანა და პრეტენდენტის პოზიცია შესამჩნევად შებოჭა. კორჩნოი მხედრის დროებითი დათმობით თავს დაესხა შავ მეფეს. პარტია გადაიდო.

გთავაზობთ VII პარტიის მსვლელობას.

## ჭადრაკი

### კორჩნოი — კარპოვი

### ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. e3 0—0 5. კd3 c5 6. d5 b5 7. de fe 8. cb კb7 9. მf3 d5 10. 0—0 მbd7 11. მe2 ლe8 12. მg3 e5 13. კf5 g6 14. კh3 a6 15. მg5 ab 16. მe6 c4 17. კd2 კc5 18. მc7 ლe7 19. მ:a8 ე:a8 20. a3 მb6 21. ლc2 კc8 22. კ:c8 ე:c8 23. კa5 მbd7 24. ლd2 კd6 25. კb4 მc5 26. კ:c5 კ:c5 27. მფh1 ლd6 28. ეad1 მფh8 29. ლc2 ლe6 30. მe2 ლc6 31. h3 ეe8 32. b4 კb6 33. ლb2 მფg8 34. ეfe1 მფf7 35. ლc2 d4 36. მg3 ეd8 37. ed ed 38. ლd2 d3 39. ლh6 c3 40. მe4 მ:e4 41. ლ:h7+ მფf8. პარტია გადაიდო.

გუშინ, მოწინააღმდეგენი თამაშის განახლებისას ყაიმზე შეთანხმდნენ.

დღეს უნდა შედგეს VIII პარტია.

## გაიმარჯვა ტუკმაკოვმა

ვილნიუსი, 2 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის XIX საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა დასკვნითი, XV ტურის პარტიები ითამაშეს.

სწრაფად, მე-16 სვლაზე დაზავდნენ მ. დვორეცკი — ვ. ტუკმაკოვი. ოდესელმა დიდოსტატმა 10,5 ქულა მოაგროვა. მისი დაწევა მხოლოდ ტ. პეტროსიანს შეეძლო, მაგრამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვერ დაძლია მ. დამიანოვიჩის (იუგოსლავია) წინააღმდეგობა და ყაიმს დასჯერდა. პეტროსიანმა 10 ქულა მოაგროვა და II ადგილზე გავიდა.

მ. ჩიბურდანიძემ შავებით გ. ლებრედოსთან (კუბა) უფიმცევის დაცვაში პერსპექტიული პოზიცია მიიღო, მაგრამ კუბელი ოსტატი ზუსტად თამაშობდა და შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ყაიმზე შეთანხმდნენ, აგრეთვე კ. კაიშაური (შვეცია) — ლ. ესპიგი (გდრ), ი. ჩომი (უნგრეთი) — ს. რეშევსკი (აშშ), გ. პეშინა — ბ. გულკო.

გადაიდო ვ. მიკენას — ი. ლეხტინსკისა (ჩეხოსლოვაკია) და ა. ბელიავსკი — ი. დორფმანის პარტიები.

დღეს საღამოს ტურნირი საზეიმოდ დაიხურება.

# ფიზკულტურასა და სპორ

დასასრული

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე (ივლისი, 1977 წელი), „ჩვენი სპორტსმენების წარმატებები დადებით გავლენას ახდენს ადამიანთა შორის შრომით ხალისზე. საყვარელი სპორტსმენის თუ გუნდის წარმატება მრავალათასიანი გულშემატკივრისათვის, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისათვის შრომობენ — ეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტორია, თავისებური რეზერვია“.

დღევანდელმა პლენუმმა, მისმა განწყობილებამ და გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი კომკავშირულ ორგანიზაციებს თავისი კონკრეტული წვლილი შეიტანონ სწორედ ამ რეზერვების სრულად ამოქმედების საქმეში ჩვენი ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, ზრუნვა მისი ყოველმხრივ კეთილდღეობაზე თვით სოციალიზმის ბუნებიდან გამომდინარეობს და, ამდენად, თვით ის ფაქტიც, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება კონსტიტუციური კანონმდებლობით არის განმტკიცებული, ნათელი დასტურია იმ დაუცხრომელი ზრუნვისა, რომელსაც კომუნისტური პარტია და მთავრობა იჩენენ საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის, მისი ხალისიანი და მხნე ცხოვრებისადმი.

საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტისას ჩვენ გამოვდივართ ვ. ი. ლენინის ცნობილი დებულებიდან: „ახალგაზრდობას განსაკუთრებით ესაჭიროება სიცოცხლის ხალისი და მხნეობა, ჯანსაღი სპორტი — ტანვარჯიში, ცურვა, ექსკურსიები, ყოველი სახის ფიზიკური ვარჯიშობანი, სულიერი ინტერესების მრავალმხრივობა, სწავლება, გარჩევა, კვლევა-ძიება, და ყველაფერი ეს ერთად აღებული“.

საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში ფიზიკური კულტურისა და სპორტის უდიდეს მნიშვნელობაზე რომ მიუთითებს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი აღნიშნავს: „ჩვენი ახალგაზრდობა უნდა ვითარდებოდეს არა მარტო სულიერად, არამედ ფიზიკურადაც. სპორტი მარტო რეკორდების დამყარება როდია, ეს არის მილიონების ჯანმრთელობა, შრომისადმი მზადყოფნა, ეს არის ჩვენი ჭაბუკების მომზადება სამხედრო სამსახურისათვის, ცხოვრებაში ისეთი საჭირო თვისებების გამომუშავება, როგორიც არის ამტანობა, დისციპლინიანობა, სიმტკიცე და მამაცობა“.

ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მარტოოდენ კეთილშობილი ლითონების ელვარებით განიზომება. ეს ასე ვთქვათ ჩემპიონის მედლის ერთი მხარეა, მეორე მხარე — კი გახლავთ ის გზა და სიტუაციები, რომელთაც ჩემპიონი გამარჯვების კვარცხლბეკთან მიიყვანეს, ყოველივე ეს თავის მხრივ უშუალოდაა დაკავშირებული ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მასობრიობასთან, მასობრივი სპორტის, მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებასთან. „არც ერთი კოლექტივი „მშთ“ ნიშნოსანთა გარეშე!“ — ასეთია დევიზი, რომლის განხორციელება კომკავშირული ორგანიზაციების საწესდებო მოვალეობაა, უმნიშვნელოვანესი პარტიული და სახელმწიფოებრივი დავალებაა.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში დანერგილია სპორტის 49 სახეობა, მათ შორის 27 ოლიმპიური. ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის შემდგომი განვითარების მიზნით გაწეულმა მუშაობამ, იმ ძვრებმა, რომელიც ბოლო პერიოდში ხორციელდება მასობრივი სპორტის განვითარებისათვის, რესპუბლიკის სპორტსმენების მიერ საერთაშორისო თუ საკავშირო ასპარეზობაზე მოპოვებულმა წარმატებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სპორტის შემდგომ პოპულარიზაციას რესპუბლიკაში — აღნიშნა მომხსენებელმა, — მაგრამ თუ რეალურ მდგომარეობას კრიტიკული თვალით შევხედავთ არ შეიძლება თვითდამშვიდების განწყობილება გვეუფლებოდეს: უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოს სპორტსმენებმა მნიშვნელოვნად დასთმეს პოზიციები საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე — თუ საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ ოთხ სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის გუნდი უცვლელად შედიოდა ხოლმე საუკეთესო ხუთეულში, 1971 წელს მან ერთი ნაბიჯით უკან დაიწია, 1975 წელს კვლავ ერთი ნაბიჯით ჩამორჩა და საბოლოოდ შესაბამისად VI და VII ადგილზე გამოვიდა.

სამწუხაროდ, შემცირდა საქართველოს სპორტსმენთა წვლილი „ოლიმპიურ ყულაბაშიც“. 1964 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებზე მათ მოიპოვეს 11 მედალი და დააგროვეს 45 ქულა, მონრეალის ასპარეზობაზე შესაბამისად — შვიდი მედალი, 24 ქულა. დღეს რესპუბლიკას აღარ ჰყავს ფრენბურთის, ცურვის, ფარიკაობის, ძალოსნობის და სპორტის მთელი რიგი სხვა სახეობების წარმომადგენლები ოლიმპიურ გუნდში, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი მოჭიდავეების მიერ დათმობილ პოზიციებზე.

ასევე მნიშვნელოვნად დათმო პოზიციები მოსწავლეთა და სტუდენტთა სპორტმა, მაგალითად, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს გუნდი მხოლოდ მეშვიდე იყო, რესპუბლიკის სტუდენტებმა ტრადიციული მესამე ადგილიდან მეთოთხმეტეზე გადაინაცვლეს, ხოლო სოფლის სპორტსმენებმა მესამე საპრიზოდან — მეცხრეზე.

სავსებით ბუნებრივია, ისმის კითხვა, — რაშია საქმე, რაში ვაკლებთ ხელს?

არსებულ მიზეზთა შორის უნდა გამოიყოს ერთ-ერთი უმთავრესი. როგორც დაწყებით, საშუალო და უმაღლეს განათლებას გააჩნია თავისი ეტაპები, ფიზკულტურულ-სპორტულ აღზრდასაც გააჩნია თავისი საფეხურები: ესაა ბავშვთა სპორტი, როგორც დაწყებითი ეტაპი, მასობრივი სპორტი — საშუალო ეტაპი და ეგრეთწოდებული „დიდი სპორტი“ — უმაღლესი ეტაპი. თუ ამ რგოლებს შორის მჭიდრო და საიმედო კავშირი არ არსებობს, პრაქტიკულად შეუძლებელია, რა თქმა უნდა, ცალკეული ბედნიერი გამონაკლისების გარდა, დიდ სპორტულ წარმატებებზე საუბარი.

სწორედ ამ საფეხურთა არასრულ კავშირში, უფრო სწორად — არასისტემატურ კავშირში უნდა ვეძებოთ ჩვენი სპორტული მუშაობის წარუმატებლობის სათავე და წარმატების უმნიშვნელოვანესი რეზერვი.

ბავშვთა ფიზკულტურა და სპორტი დღესდღეობით ერთ-ერთი აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემაა, — აღინიშნა მოხსენებაში, — ამ ამოცანის გადაწყვეტა კი მთელი საზოგადოების საზრუნავი და საფიქრალია. ამ აქტუალური საკითხის გადასაჭრელად უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ განსაკუთრებული ღონისძიებები განხორციელდა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დილის ტანვარჯიშის, დიდი დასვენების, ფიზკულტურაში საშინაო დავალების შემოღება, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვა, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისათვის ზრუნვა და სხვა ღონისძიებები სწორით საკლასო ფიზკულტურის, ბავშვთა სპორტის განვითარებას ისახავდა და ისახავს მიზნად.

მოზარდთა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მრავალი საინტერესო ღონისძიება იგეგმება და ტარდება. ავიღოთ თუნდაც „იმედის სტარტების“, „ტყავის ბურთის“ პრიზის გათამაშებები, „თეთრი ეტლის“ შეჯიბრებები, რომლებშიც ათასობით ბავშვია ჩაბმული. ქებით უნდა მოვიხსენიოთ თბილისის 121-ე სკოლის პედაგოგიური კოლექტივის, 61-ე საბინაო საექსპლოატაციო კანტორისა და 26 კომისრების რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საინტერესო შეჯიბრებები რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში არ ტარდება, და აქ, პირველყოვლისა, ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციები უნდა დავადანაშაულოთ.

მაგრამ ბავშვთა სპორტის განვითარებისა და მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის არსებული მდგომარეობის თუნდაც ზოგიერთი დამახასიათებელი მონაცემის ანალიზი ამ მიმართებით მუშაობის კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გაშლის აუცილებლობაზე მიგვითითებს, კერძოდ:

ამჟამად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შექმნილია 12041 ბავშვთა სპორტული სექცია სპორტის 22 სახეობაში, სადაც 249805 მოსწავლეა ჩაბმული. ეს კი მთლიანად მოსწავლეთა კონტინგენტის მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს.

ახალი სპორტული კომპლექსის „მშთ“-ს ნორმატივები ჩაბარებული აქვს 229250 მოსწავლეს, ე. ი. საერთო რაოდენობის 36 პროცენტს. უაღრესად დაბალია მოსწავლეთა სპორტულ სკოლებში მომეცადინე მოსწავლეთა მიღწევები სპორტის ზოგიერთ სახეობაში.

მართალია, რესპუბლიკაში თანრიგოსან მოსწავლეთა მომზადების გეგმა წარმატებით შესრულდა და 1978 წლის პირველი იანვრისათვის 100000-ის ნაცვლად 130929 შეადგენს, მაგრამ ისეთ მნიშვნელოვან სახეობაში, როგორიცაა მძლეოსნობა, ვერ იქნა დაძლეული სერიოზული ჩავარდნები. დღევანდელ პლენუმზე კიდევ ერთხელ უნდა ითქვას ფიზკულტურის მასწავლებლებზე, როგორც ამ დარგის ცენტრალურ ფიგურაზე სკოლაში. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სკოლებში მომუშავე ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა ხარისხოვანი შემადგენლობის გაუმჯობესების, ფიზკულტურის მასწავლებელთა კადრების აღზრდისა და განაწილების აქტუალურ პრობლემებზე, ჩვენი პედაგოგების ამ კატეგორიასთან განსაკუთრებული სიახლოვეა საჭირო — განაგრძო მომხსენებელმა. საჭიროა ახლოს დავდგეთ ფიზკულტურის მასწავლებლებთან, გავეცნოთ მათი მუშაობის პირობებს, ყოველმხრივი დახმარება აღმოვუჩინოთ მათ. ეს მისასალმებელი პრაქტიკა ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ნაწილობრივ დამკვიდრდა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, აუცილებელია საშეფო მუშაობამ უფრო ფართო მასშტაბები მოიცვას.

დღეისათვის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად კვლავ რჩება მარტივი ტიპის სპორტული მოედნების არსებობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

მოსაწონი და მისაბაძია მულახელი კომკავშირელების მაგალითი, რომლებმაც რამდენიმე თვეში საკუთარი ხელებით ააგეს მშვენიერი სპორტული კომპლექსი, სადაც მოსდომებით ეუფლებიან ახალგაზრდები ჭიდაობას, ძალოსნობას, კრივს, ჭადრაკს, კალათბურთს, ხელბურთსა და სპორტის სხვა სახეობებს. მისაბაძია დედაქალაქის საბურთალო რაიონის ახალგაზრდობის ინიციატივა — „დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს — 60 სპორტული ბაზა!“, რომლებმაც 60-ის ნაცვლად 74 მარტივი ტიპის სპორტული მოედანი მოაწყვეს. ასეთი მაგალითები, კარგი მაგალითები არის, და ისინი ერთხელ კიდევ მთელი ხაზგასმით მიგვითითებენ იმაზე, რომ კვლავ ძალაში რჩება, სავსებით განხორციელებადია და უფრო წარმატებითაც შეგვიძლია ვახორციელებდეთ ჩვენ კომკავშირულ დევიზს: „არც ერთი სოფელი, სკოლა და დასახლებული პუნქტი მარტივი ტიპის სპორტული მოედნის გარეშე!“.

ამ ცალკეული დადებითი მაგალითების გვერდით გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ისევ და ისევ სამწუხაროდ, არ სრულდება სადირექტივო ორგანოების დადგენილება იმის შესახებ, რომ სპორტული ნაგებობების მშენებლობისათვის ყოველ 1000 კაცზე მიკრორაიონში უნდა გამოიყოს 0,12 ჰექტარი მიწის ნაკვეთი; საცხოვრებელ რაიონში 0,18 ჰექტარი, ხოლო დასახლებულ პუნქტებში 0,25 ჰექტარი. მაგრამ აქ, რომ იტყვიან, მედლის მეორე მხარესაც უნდა შევხედოთ. — ხშირად ხომ, რაც გვაჩნია იმასაც კი ვერ ვიყენებთ ყაირათიანად, მთელი დატვირთვით.

რესპუბლიკის სპორტული მიღწევები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სტუდენტური სპორტის განვითარებაზე. როგორია ამ თვალსაზრისით არსებული ტენდენცია? — დადებით ტენდენციებთან ერთად, მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სტუდენტური სპორტის აქტუალურ, პრობლემატურ საკითხებზე.

დამაფიქრებელია და საჭირო დასკვნების გამოსატანი ის ფაქტი, — აღინიშნა მომხსენებელმა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სკოლების დღის განყოფილების თითქმის 50 ათასი სტუდენტიდან სპორტს მისდევს მხოლოდ 5 პროცენტი.

ზოგიერთი დასკვნა, რომელიც უნდა გავაკეთოთ სტუდენტურ სპორტში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არსებული ობიექტური სირთულეების გათვალისწინებით, შეიძლება ასე განისაზღვროს:

უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირის კომიტეტები ჯერ კიდევ სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სტუდენტებთან ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხებს.

— ღონისძიებები, რომლებიც ტარდება უმაღლეს სასწავლებლებში სპორტის მასობრიობის, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის, სწავლისაგან თავისუფალი დროის ორგანიზაციის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებს და ამიტომაც ვერ აღწევს დასახულ მიზნებს.

— უმაღლეს სასწავლებლებში ფორმალურ სახეს ატარებს ფიზკულტურის — როგორც საგნის სწავლება, მისი ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად კი სერიოზული და ყოველმხრივი ღონისძიებებია განსახორციელებელი.

შემდეგ მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალთა სპორტის საკითხებზე, მის არსებულ მდგომარეობაზე, განვითარების პერსპექტივებზე.

უხერხული იქნებოდა ქალთა სპორტის შესახებ საუბარი ჭადრაკის გარდა სპორტის სხვა რომელიმე სახეობით დაგვეწყო. და მართლაც, ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი — პერსპექტიულ მოჭადრაკე გოგონათა მთელი არმია. სწორედ მათ გაუთქვეს სახელი მთელს მსოფლიოში ქართულ საჭადრაკო სკოლას და დიდების შარავანდედით შემოსეს იგი.

ჭადრაკი საქართველოს ქალთა სპორტში ბედნიერი გამონაკლისია, სწორედ რომ გამონაკლისი: დღეს საქართველოს სპორტსმენი ქალები საკავშირო ნაკრებ გუნდებში ერთადერთი გოგონათი არიან წარმოდგენილნი, და ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციაში 52 პროცენტი ქალია, როდესაც 50 წლებში რესპუბლიკაში 4 მსოფლიო რეკორდსმენი და ორი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი იყო, 60-იან წლებში ჩვენს სპორტსმენ ქალებს მტკიცედ ეკავათ ადგილი ქვეყნის ნაკრებ გუნდებში სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ცურვა, მძლეოსნობა, კალათბურთი, ტანვარჯიში, მშვილდოსნობა...

ჩვენ, ყველანი ერთად ღრმად, საქმიანად, ყოველმხრივ უნდა ჩავუკვირდეთ ამ მდგომარეობას. ქალთა სპორტს — რესპუბლიკის კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვა! — აი, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ამოცანა. საკითხის ასე დასმა სრულად და სავსებით უპასუხებს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ახლახან განხილული საკითხის — კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლების შესახებ — სულისკვეთებას.

ბოლო პერიოდში გატარებული პრაქტიკული ღონისძიებების შედეგად, შესაბამისად გაიზარდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივ ღონისძიებებში აქტიურად ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. მნიშვნელოვნად გაძლიერდა მოსახლეობის ინტერესი მშთ კომპლექსის ნორმების ჩაბარებისადმი. მართლაც რომ კარგ მაგალითებს გვაძლევენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭო, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ენგურჰესის სამშენებლო სამმართველოები, მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, გურჯაანის [illegible] საბჭოთა მეურნეობის [illegible] რიგი სხვა დაწესებულებების [illegible] კოლექტივები. მაგრამ აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ჩვენი მუშა-ახალგაზრდობის მასობრივ მონაწილეობას ფიზკულტურულ მოძრაობაში აფერხებს ზოგიერთ შემთხვევაში საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება, ქაღალდომანია, ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის შეცვლა საკანცელარიო პრაქტიკით, ციფრების მოჩვენებითობით.

შემდეგ მომხსენებელი სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხებს და ამ მიმართებით რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების ამოცანებს შეეხო. როგორც მან აღნიშნა, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სასოფლო სპორტს სათანადო ყურადღებას უთმობენ.

მაგრამ ზოგიერთი კომკავშირის კომიტეტი მაღალი მომთხოვნელობით არ ეკიდება სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარების საკითხებს, არ ითვალისწინებს სოფლის ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის, თავისუფალი დროის ორგანიზაციის შესაძლებლობებს და თავისებურებებს.

კომკავშირის კომიტეტები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სოფლად მასობრივ-სპორტული ღონისძიებების, ფიზკულტურული დღესასწაულების ჩატარებას, ფართო გაქანება ვერ ჰპოვა სპორტის ეროვნულ-ხალხური სახეობების დანერგვამ; ასევე, ყურადღების გარეშე რჩება ფიზკულტურულ მოძრაობაში ქალთა ფენის ზრდის საკითხები.

სამწუხაროდ, კვლავ და კვლავ ვხვდებით სიყალბისა და თვალისახვევის შემთხვევებს. განა მოსათმენია ის ფაქტი, რომ შარშან, თუ „ქაღალდებით“ ვიმსჯელებთ, სამტრედიელმა მრავალჭიდელებმა მშთ-ს ზონალურ შეჯიბრებაში ათასობით ქულა „მოაგროვეს“, ფინალურ ასპარეზობაში კი გუნდს ჩასათვლელი ქულა მხოლოდ ერთადერთმა ნიშნოსანმა მისცა.

საკითხისადმი ასეთი ზერელე, ფორმალური დამოკიდებულების გამო სოფლად ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა აშკარად ჩამორჩა დღევანდელ მოთხოვნებს.

სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ეროვნულ-ხალხური სახეობების კულტივირება. ეროვნულ-ხალხური სახეობების დანერგვას და მის განვითარებას დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეროვნული სახეობების დანერგვა და განვითარება სოფლად აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რელიგიური დღესასწაულების აღკვეთისა და მათ ნაცვლად სპორტული სანახაობების ჩასატარებლად.

ეროვნულ-ხალხური სახეობების დანერგვის საქმეში კონკრეტული წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენმა ახალგაზრდულმა პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ. კარგი იქნება, თუ გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე სისტემატურად აისახება ეროვნული სახეობების, სპორტული თამაშობების ჩატარების წესი და ფორმა.

მომხსენებელი შემდეგ შეეხო რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის, სოფლად სპორტის განვითარების პრობლემებს, ისეთ კონკრეტულ საკითხს, როგორიცაა ქართული ალპინიზმის ტრადიციები და სპორტის ამ სახეობაში დღეს შექმნილი მდგომარეობა. ის რეგიონები, — აღნიშნა ამასთან დაკავშირებით მომხსენებელმა, — რომლებიც წლების მანძილზე განვითარებული ალპინიზმის რაიონებს წარმოადგენენ, დღეს თმობენ პოზიციებს. მესტიის, ყაზბეგის, ლენტეხის, დუშეთის რაიონებში შეასუსტეს ყურადღება ალპინიზმის ცალკეული სახეობების განვითარებისათვის. უფრო მეტიც, ყაზბეგის რაიონში 50 წლებში იყო 2 სპორტის ოსტატი და მრავალი პირველთანრიგოსანი მთამსვლელი, დღეს ყაზბეგში მხოლოდ სამად სამი ახალგაზრდა მისდევს სპორტის ამ მიმზიდველ და ვაჟკაცურ სახეობას, ხოლო ბოლო სამი წლის მანძილზე მომზადე-

# —კომკავშირული ზრუნვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის სახეობების მიხედვით. დავიწყებას მიეცა გამოჩენილ სპორტსმენთა ფოტოსურათების, ილუსტრირებული ალბომების, ალმანახების გამოცემა. არც თუ ისე იშვიათად, სცოდავს ჩვენი სპორტული და ახალგაზრდული პრესაც, — ზოგჯერ იბეჭდება არასპეციალისტების წერილები, რის გამოც გვხვდება შეუმოწმებელი მასალები, რაც ხშირად იწვევს გაუგებრობას, უხერხულობას.

სპორტის პროპაგანდის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს მაყურებლებთან მუშაობა როგორც მათი სპორტულ შეჯიბრებებზე მიზიდვის, ისე თვით შეჯიბრებების მიმდინარეობის დროს მათი ქცევის, სპორტული ეთიკის დაცვის თვალსაზრისით. კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ამ კუთხით სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება.

დღეს პლენუმმა, — აღნიშნა მომხსენებელმა, — როგორც ეს მისი დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხით არის გათვალისწინებული, უნდა დაამტკიცოს მუდმივმოქმედი კომისიები. პროექტით გათვალისწინებულია შექმნას ახალგაზრდობის ფიზიკური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის კომისია. ანალოგიური კომისიები შექმნილია საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, მაგრამ ყველა კომისია როდი მუშაობს სათანადო პასუხისმგებლობით, მთელი უკუგებით, მაღალი ეფექტიანობით.

— კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა გაცილებით აქტიურად გამოიყენონ ფიზკულტურა და სპორტი ძნელადაღსაზრდელ არასრულწლოვანთა მუშაობისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ მასობრივად ჩაებათ ისინი სპორტულ სექციებში, კლუბებში ინტერესების მიხედვით, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში.

ახალი ძალით, ფართოდ გავშალოთ ცნობილი სპორტსმენების შეფობა ძნელადაღსაზრდელებზე. ამ მუშაობას მივცეთ მასობრივი, სისტემატური, კონკრეტული ხასიათი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამკვიდრდეს ტრადიცია ძნელადაღსაზრდელი არასრულწლოვნების საქალაქო, რაიონული და რესპუბლიკური სპარტაკიადების ჩატარებისა სახელოვანი სპორტსმენების პრიზზე.

ყველა ეს საკითხი, რომელზეც დღეს პლენუმზე იქნება საუბარი, ყველა ის ამოცანა, რომელთაც წინა პლანზე წამოსწევს პლენუმი, განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ კომკავშირის კომიტეტები ღრმად ჩაიხედავენ მათ არსში, გამოიჩენენ მეტ ინიციატივასა და თვითმოქმედებას, ფიზკულტურულ და კომკავშირულ ორგანოებთან ერთად კრიტიკულად, თვითკრიტიკულად შეაფასებენ მიღწევებს, დასახავენ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ეფექტურ ღონისძიებებს.

ამიტომ, — აღნიშნა მომხსენებელმა, — პლენუმზე დაწყებული საუბარი უნდა გაგრძელდეს, — გაგრძელდეს სპორტულ მოედნებზე, გაგრძელდეს ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელ ბანაკებში, ამ საუბარმა პრაქტიკული გამოხატულება უნდა ჰპოვოს ყოველდღიურ საქმიანობაში.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობა, საქართველოს კომკავშირი შესძლებს ფიზკულტურულ-სპორტულ საკითხებზე ჩატარებული პარტიულ-სამეურნეო აქტივის (ივლისი, 1977 წ.) მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას, თავის სიტყვას იტყვის ჩვენი პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულების საქმეში, სასახელო საქმეებით შეხვდება ლენინური კომკავშირის სახელოვან იუბილეს.

---

მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი.

გამოდის საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქველიაშვილი. საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობა, თქვა მან, ფართოდ შეეხო ახალგაზრდობის თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენების საკითხს, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა მარტო მუშაობის რაციონალურ გადაწყვეტაზე, არამედ დროის მთელი კომპლექსის, სამუშაოსათვის, დასვენებისათვის, საზოგადო მუშაობისათვის, შინაგანი სრულყოფისათვის განკუთვნილი დროის გამოყენების სისტემაზე.

დღეს, რესპუბლიკის სპორტკომიტეტი და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ყველაფერს აკეთებენ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ, მასობრივად გაშლისათვის. ამის შედეგად უკანასკნელ 2 წელიწადში მოკავშირე რესპუბლიკებს შორის გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში (ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობაში) ჩვენმა რესპუბლიკამ მე-16 ადგილიდან გადმოინაცვლა მე-7 ადგილზე. ჩვენი ერთობლივი მუშაობით, ვფიქრობთ, ეს პროცესი უფრო გაგრძელდება და შედეგიც უკეთესი გვექნება.

ამას წინათ რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, — თქვა თავის გამოსვლაში კომკავშირის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. მაღრაძემ, • რომელმაც განიხილა საკითხი — „მოზარდებთან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუშაობის არსებულ საშუალებათა ეფექტურად გამოყენების მიზნით რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ“, სამართლიანად მიუთითეს კომკავშირის ლენინის რაიკომის ბიუროს ამ მიმართებით გაწეულ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის.

მოზარდთა შორის სპორტის სახეობათა პოპულარიზაციის საქმეში დიდი ადგილი უკავია გამოჩენილ სპორტსმენთა სახელობის კლუბებს, რომლებმაც ჩვენს რაიონში, მიუხედავად კარგი წამოწყებისა, ვერ დაიმკვიდრა ადგილი. მიზეზი — კომკავშირის რაიკომისა და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების უყურადღებობა და დაუინტერესებლობაა ამ საკითხით.

მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზაციის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ზ. ლომიძემ.

რესპუბლიკის განათლების სისტემაში ბავშვთა სპორტის განვითარებისათვის ყოველწლიურად 4,6 მლნ მან. იხარჯება, რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ფუნქციონირებს 121 ბავშვთა სპორტული და სპეციალიზებული სკოლა, მაგრამ ადგილობრივი ორგანოების უკონტროლობის გამო, მათი როლი ბავშვთა მასობრივი სპორტის განვითარების საქმეში შედარებით დაბალია.

კიდევ ერთხელ გვინდა მივმართოთ სპორტული ბაზების ხელმძღვანელებს — გაითვალისწინონ ჩვენი თხოვნა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს გამოუყონ ადგილების გარკვეული რაოდენობა, ისევე, როგორც ეს ხდება წარმოება-დაწესებულებებში. ეს იმისათვის არის საჭირო, რომ მოზარდები ორგანიზებულად — თავიანთ პედაგოგებთან, პიონერხელმძღვანელებთან, მშობლებთან ერთად დაესწრონ სპორტულ შეჯიბრებებს, ისწავლონ ობიექტური, ნამდვილი გულშემატკივრობა.

— სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის წარმართვის პრობლემებზე რომ ვმსჯელობთ, — თქვა თავის გამოსვლაში კომკავშირის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. შერგელაშვილმა, — ერთ-ერთ საკითხად უნდა დავსვათ სპორტული ბაზების პრობლემა, და პრობლემა ჩვენი დამოკიდებულებისა მათ მიმართ.

კერძოდ — ვიყენებთ თუ არა ჩვენ, კომკავშირული ორგანიზაციები, სპორტული ორგანიზაციები მაქსიმალურად არსებულ ბაზებს ახალგაზრდობის თავისუფალი დროის უნარიანი ორგანიზებისათვის? ალბათ, მთელი გულახდილობით უნდა ვაღიაროთ — არა.

ახალგაზრდობის თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების სამსახურში უნდა ჩავაყენოთ სპორტის ეროვნული სახეები. ამ საქმეში ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეს“ ადგილობრივ ორგანიზაციებს მეტი დახმარება სჭირდებათ რესპუბლიკური საბჭოსაგან, განსაკუთრებით სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფისათვის.

ლენინური კომკავშირი და საბჭოთა პროფესიული კავშირები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა უბანზე მჭიდროდ თანამშრომლობენ და ერთიანი მოღვაწეობის ფართო ასპარეზი აქვთ, — აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარბედიამ.

პროფკავშირული სპორტული ორგანიზაციების მთელ მუშაობას რესპუბლიკაში საფუძვლად უდევს 1977 წლის 2 ივლისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების რეზოლუცია. მთელმა რიგმა პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სერიოზული დასკვნები გააკეთეს შექმნილი მდგომარეობიდან, ყურადღების ცენტრში დააყენეს მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დანერგვა-განვითარება, განსაკუთრებით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ჩვენ სერიოზულად უნდა ვუსაყვედუროთ სპორტულ საზოგადოებათა საბჭოების ხელმძღვანელებს, მეთოდურ საბჭოებს, ფიზკულტურულ კოლექტივებს, სპორტულ სკოლებს იმისათვის, რომ ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ და ცუდად ეხმარებიან საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აქტიური დასვენებისა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაცია-ჩატარებაში.

საქართველოს კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ქალანდიამ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის პრობლემებიდან კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, ისეთ კონკრეტულ მომენტებზე, როგორიცაა: პირველი — ფიზიკური კულტურა და სპორტი და მისი პირდაპირი ზეგავლენა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე; მეორე — თავისუფალი დროის რაციონალური შევსება და მესამე — თავისუფალი დროის შევსება სპორტულ-მასობრივი ღონისძიებებით ახალგაზრდობას, განსაკუთრებით კი მოზარდებს შორის დანაშაულებრივ ქმედებათა შემცირების პროპორციულად.

— ჩვენი რაიონის კომკავშირულ და სპორტულ ორგანიზაციებს ერთობლივი მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ, — თქვა თავის გამოსვლაში გურჯაანის რაიონის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნემ, საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატმა თ. ქიტესაშვილმა. — არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ინიციატივა, რომელიც გურჯაანელმა ახალგაზრდებმა წამოიწყეს სპორტის მასობრიობის თვალსაზრისით: რაიონის ახალგაზრდობამ ფართოდ გაშალა საქმიანობა დევიზით „თითოეულ სკოლას — საცურაო აუზი“ და მისი პრაქტიკული რეალიზებისათვის გარკვეული ღონისძიებები გაატარა. გადავწყვიტეთ სკოლების ბაზაზე არსებული ხანძარსაწინააღმდეგო წყალსაცავები ნაწილობრივ გამოვიყენოთ საცურაო აუზებად, მისი ფართობების სტანდარტულ ზომამდე გადიდების უზრუნველყოფით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სპორტის ისეთი ეროვნული სახეობების განვითარების საკითხებს, როგორიცაა ქართული ჭიდაობა, ლელობურთი და სხვა.

პლენუმზე სპორტის პროპაგანდის საყურადღებო საკითხებზე ილაპარაკა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის კათედრის გამგემ, დოცენტმა ა. ციბაძემ. ახლა სპორტის პროპაგანდისტის უმაღლესი ვალია სწორად და გეგმაზომიერად გააშუქოს სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების პრობლემები, — თქვა მან, — ეს მომენტი კარგად უნდა გამოიყენოს პროპაგანდისტმა და ერთდროულად წინა პლანზე წამოსწიოს ადგილობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის პრობლემებიც.

დასამალი არაა, რომ ჩვენში, განსაკუთრებით რაიონებში, ნაკლებად წარმოებს ბავშვთა სპორტის, ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდა. და აი, სწორედ აქ გვესაჭიროება კომკავშირის რაიკომების, კომკავშირული კომიტეტების ქმედითი დახმარება.

საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ც. ტაბიძემ თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სასკოლო ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის აქტუალურ საკითხებზე, იმ ნაკლოვანებებზე, რომელსაც ადგილი აქვს ახალგაზრდების სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებთან მწყობრი ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის საქმეში, სპორტული ბაზების მშენებლობასა და აქ არსებულ შეფერხებებზე კვალიფიციური კადრების აღზრდაში, მომზადებასა და განაწილებაში.

აჭარაში განსაკუთრებით იგრძნობა ფიზკულტურის სპეციალისტთა ნაკლებობა და ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ მარტო ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 24 მეთოდისტიდან ფიზკულტურის სპეციალისტია მხოლოდ 6. ასევე არასპეციალისტები ასწავლიან ფიზიკურ კულტურას აჭარის 30 სკოლაში. სპეციალისტთა მომზადებას ავტონომიურ რესპუბლიკაში ემსახურება ერთადერთი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტი, რომლის მიღების კონტინგენტი ყოველწლიურად შეადგენდა 20–25 კაცს, ახლა კი შემცირდა.

— ფიზიკურ კულტურასა და სპორტს უდიდესი ადგილი განეკუთვნება კომუნისტური საზოგადოების ადამიანის — ახალი ტიპის ადამიანის აღზრდისა და ფორმირების კომპლექსური ამოცანის გადაწყვეტაში, — თქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მშთ-ს სრულიად საკავშირო კომპლექსის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ ბ. შხვაცაბაიამ თავის გამოსვლაში. — განუზომლად დიდია მშთ-ს, როგორც ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლის ერთ-ერთი ყველაზე ნაცადი და მრავალმხრივი საშუალების როლი მთელს ამ სისტემაში.

საქართველოს კომკავშირის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. ცხოვრებოვი თავის გამოსვლაში, ქალაქის კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის ბოლო წლების დადებით ტენდენციებთან ერთად, შეჩერდა იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელთა გადაჭრასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, როგორც თვით ქ. ცხინვალში, ისე მთელს ავტონომიურ ოლქში.

კერძოდ, დაისვა არსებული სპორტული ბაზების მატერიალურ-ტექნიკური განმტკიცების საკითხი. რიგი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყურადღებას არ აქცევენ არსებული ბაზების რეკონსტრუქციის, გადახალისების, მათი სათანადო აღჭურვის საქმეს.

— იმ აქტუალურ საკითხთა შორის, რომელზედაც ლაპარაკი იყო საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობაზე, ყურადღება გამახვილდა საბჭოთა სპორტის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების პრობლემებზე — აღნიშნა თავის გამოსვლაში გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშამ, საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატმა დ. მაზმიშვილმა.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ მუშა ახალგაზრდობის ფიზკულტურასა და სპორტში მასობრივად ჩაბმის მიზნით ჩვენს რაიონში მნიშვნელოვანი, სასარგებლო საქმე გაკეთდა — წარმატებით განხორციელდა საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანა „არც ერთი მიკრორაიონი და დასახლებული პუნქტი მარტივი ტიპის სპორტული მოედნის გარეშე“. ვალდებულებით გათვალისწინებული 60 სპორტული მოედნის ნაცვლად 74 მარტივი ტიპის მოედანი აშენდა.

— კომკავშირის რაიონული კომიტეტი, — აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს ალკკ წალკის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. სამურგანოვმა, — მთელს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას, სპორტულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ისე წარმართავს, რომ იგი კომკავშირელებისა და ახალგაზრდების კომუნისტური აღზრდის ქმედით ფორმას წარმოადგენდეს.

გარკვეული წარმატებები არის, და ეს წარმატებები მიგვითითებს იმაზე, რომ სოფლად სპორტის განვითარებისთვის აუცილებელია:

— უკეთ და ყოველმხრივ ვითვალისწინებდეთ თანამედროვე სოფლის ახალგაზრდობის შრომის სპეციფიკურ თავისებურებებს.

— მეტი ყურადღებით ვეკიდებოდეთ კვალიფიციური კადრების მომზადებას სოფლის პირობებში სამუშაოდ;

— უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული ჩვენი ადგილობრივი შესაძლებლობები სხვადასხვა რანგისა და მასშტაბის სპორტულ ასპარეზობათა მოსაწყობად. მაგალითად, წალკის წყალსაცავზე არის ყველა საშუალება იმისა, რომ ეწყობოდეს რესპუბლიკური შეჯიბრებები საწყლოსნო სახეობებში. ეს სპორტის პროპაგანდასაც შეუწყობდა ხელს და მისი თანამედროვე სახეების კულტივირებასაც ადგილებზე. ვფიქრობთ, რესპუბლიკის სპორტკომიტეტი გაითვალისწინებს ჩვენს თხოვნას.

გამოდის საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ... (... დიას).

ორატორი ყურადღებას ამახვილებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის პრობლემებზე, სასკოლო ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის, მწვრთნელთა კვალიფიციური კადრების მომზადების, სპორტული ბაზების სათანადო უზრუნველყოფის საკითხებზე.

სპორტული ბაზების მშენებლობისა და არსებულის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით მინდა მივმართო ჩვენს ახალგაზრდობას, მის ავანგარდს — კომკავშირს, რომ თუ ისინი სპორტული ბაზების მშენებლობის საქმესაც გამოაცხადებენ ახალგაზრდობის საქმედ, კომკავშირის საქმედ, მაშინ ბევრს მოიგებს ჩვენი მოზარდი თაობა.

საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონმა, ევროპის ჩემპიონმა კრივში დავით ქვაჭაძემ თავის სიტყვაში ყურადღება გაამახვილა მშთ ახალი კომპლექსის საყოველთაო დანერგვის საქმეში ხშირად ჯერ კიდევ არსებულ ფორმალიზმზე, ილაპარაკა რეზერვებთან მუშაობის რადიკალურად გაუმჯობესების აუცილებლობაზე, იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია რესპუბლიკაში კრივის შემდგომი განვითარებისათვის.

როდესაც ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში კომკავშირული ორგანიზაციების ეფექტიანობის ამაღლებაზე ვლაპარაკობთ, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩვენ არ ვგულისხმობთ, თითქოს სპორტსმენები მაყურებლის როლში უნდა გამოდიოდნენ. რაც არ უნდა დიდი წარმატებები მოიპოვოს სპორტსმენმა, თუ მან აქტიური მონაწილეობა არ მიიღო მოზარდი თაობის აღზრდაში, თუ მას არ უკავია აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, იგი ვერც საქმეს შემატებს რამეს და ვერც ხალხის სიყვარულს დაიმსახურებს.

განა ჩვენ, სპორტსმენებს, გნებავთ — სპორტულ მუშაკებს, მეტი სარგებლობის მოტანა არ შეგვიძლია ამ დიდი და საჭირო საქმისათვის? მითუმეტეს, რომ ბევრმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ უკვე შექმნა სახელოვანი სპორტსმენების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული კლუბები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ყველას კარგად გვახსოვს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის ლევან თედიაშვილის შესანიშნავი თაოსნობა, რომელსაც ბევრი სპორტსმენი გამოეხმაურა. ამ საკითხზე საგანგებოდ აღინიშნა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გასულ წელს. მაგრამ ამ მოძრაობამ მაინც ვერ ჰპოვა სათანადო განვითარება, ის მასშტაბები, საქმის ინტერესები რომ მოითხოვენ.

— მხოლოდ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას, დაძაბულ ფიზიკურ წვრთნასთან, მაღალ ფსიქოლოგიურ და მორალურ მომზადებასთან ერთად შეუძლია სასურველი შედეგის მოტანა დიდ სპორტში, — თქვა თავის გამოსვლაში ახალგაზრდა პოეტმა ე. ნიჟარაძემ, — ორატორმა ილაპარაკა ბავშვთა სპორტის პრობლემებზე, მწვრთნელთა კადრების მომზადებასა და მათთან მუშაობაზე. აუცილებელია მოიძებნოს, გამოინახოს ახალი ფორმები და საშუალებები ბავშვთა და მასობრივი სპორტის განვითარებისათვის, — თქვა შემდეგ ორატორმა, — ყველას კარგად ახსოვს საბავშვო სპორტული გადაცემები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. მართლაც რა მრავალფეროვანი, რა მიმზიდველი სპორტული შეჯიბრებები ტარდება მოზარდებისათვის! საქართველოს ტელევიზიამ რამდენიმე მსგავსი გადაცემა მოაწყო სპორტის სასახლიდან, მაგრამ ამ საქმემ რატომღაც შემდგომი განვითარება ვერ ჰპოვა.

აქ სავსებით სამართლიანად და სწორად აღინიშნა ჩვენი პრესის როლის ამაღლების აუცილებლობის თაობაზე სპორტის პროპაგანდის საქმეში, იმაზე, რომ ქართველი მწერლები, ხელოვნების მუშაკები ვალში არიან ქართული სპორტის წინაშე.

* * *

პლენუმზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. კ. შარტავა. პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელშიც დასახულია ახალგაზრდობის დასვენების უნარიანი მოწყობის საქმეში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის როლის ამაღლებისათვის რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები და მათი პრაქტიკული რეალიზაციის კონკრეტული ღონისძიებები.

**ტურის სტუმარი**

# ვიქტორ პონედელნიკი: მჯერა თბილისელებისა



**ეს იყო** ჩვიდმეტი წლის წინათ. საფეხბურთო სამყარო აღტაცებით ლაპარაკობდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა გუნდის სამხრეთ-ამერიკულ ტურნეზე. შორს აღარ იყო ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატი და ეს თემა ერთობ სასიამოვნოდ ხვდებოდა ფეხბურთის საბჭოთა მოყვარულის ყურს.

კამათი, პროგნოზები არ წყდებოდა ჩვენთან, სკოლის დერეფანშიც. დროდადრო, ისიც სულ რაღაც 45 წუთით, ზარი თუ შეგვაწყვეტინებდა გაცხოველებულ საუბარს. მაშინ ტელევიზია ასე იოლად ვერ წვდებოდა დედამიწის ყოველ კუთხეს და ჩვენც ცნობისმოყვარეობას გაზეთებითა და ჟურნალებით ვიკმაყოფილებდით. საფეხბურთო მატჩების ანგარიშების კითხვისას გარკვევით გვესმოდა ბუენოს-აირესის, მონტევიდეოსა და სანტიაგოს სტადიონებზე თავშეყრილი ტორსიდის გუგუნი.

უცებ სკოლაში ხმა დაირხა — პედაგოგიური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მოსკოველი სპეციალისტი ვიქტორ ნაზოკოვი გულშემატკივრებს უჩვენებს კინოფირზე გადაღებულ იმ სამივე მატჩსო. ახლაც გარკვევით, თვალნათლივ მახსოვს იმ მატჩების ბევრი, ძალზე ბევრი ეპიზოდი. ერთი მათგანი კი, მაყურებელთა თხოვნით რამდენჯერმე რომ გაიმეორეს, სამუდამოდ დამამახსოვრდა — სლავა მეტრეველმა ბრწყინვალე დრიბლინგის შემდეგ ბურთი არგენტინის ნაკრების საჯარიმოში ჩაჰკიდა, ვიქტორ პონედელნიკმა კი „მაკრატელათი“ ულამაზესი გოლი გაიტანა. ეს იყო ჩვიდმეტი წლის წინათ...

**გუშინ** კი სასტუმროს ნომერში ათასი შეკითხვით ვაფორიაქებდი წარსულში ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელის ფიქრებს იმ მართლაცდა მშვენიერი გუნდის შესახებ.

**— ვიქტორ, ვთქვათ და 60-იანი წლების გუნდის მთელი თავდასხმა ჩვენს დღევანდელ ნაკრებში წარმოვიდგინეთ. როგორი იქნება ამ გადანერგვის პროცესი, მისი შედეგი?**

— ვფიქრობ, არავის მოუხდება ქსოვილთა შეუთავსებლობაზე საუბარი. დღეს ბევრი გუნდი ერთი თავდამსხმელით თამაშობს, ბევრი — ორით, ხანდახან — სამითაც, ჩვენ კი ხუთნი ვიყავით! მიუხედავად ამისა, თითოეული ჩვენგანისთვის მაინც მოიძებნებოდა ადგილი ნებისმიერ გუნდში. კარგი ფეხბურთელები ყველა თაობის ფეხბურთში გვხვდებიან და ისინი სწორედ იმ პერიოდისას მიეკუთვნებიან, რომელმაც შობა კიდეც. მაგრამ მეტრეველი, მესხი, ივანოვი, სტრელცოვი თავიანთი იშვიათი ტალანტის გამო არ განეკუთვნებიან დროს, უფრო სწორად, მათ წინ გაუსწრეს დროს.

**— ადრე თითქმის ყოველ გულშემატკივარს ნებისმიერ მატჩის წინ უშეცდომოდ შეეძლო დაესახელებინა ნაკრების შემადგენლობა, ახლა კი სპეციალისტებსაც უჭირთ ამა თუ იმ ადგილის პრეტენდენტის ვინაობის გამოცნობა.**

— ეს ყველაფერი ტკბილი ცხოვრებით არ არის გამოწვეული. ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც ფიფა-ს კონგრესის გადაწყვეტილების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში მონაწილე ფეხბურთელები აღარ დაიშვებოდნენ ოლიმპიურ თამაშებში. ჩვენს ფედერაციაში ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ ერთი თუ ორი ნაკრებით იბრძოლონ ოლიმპიური მედლებისა და ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის. თუმცა საკმაოდ ნათელია, რომ ერთ შემადგენლობას ძალზე გაუჭირდება. ნაკრებში ფეხბურთელთა ასე უხვად მოწვევის მიზეზიც ეს არის. დავალებული გვაქვს, ყურადღებით ვადევნოთ თვალი ყველა პოტენციურ კანდიდატს. თბილისისა და მოსკოვის თანაკლუბელთა მატჩზეც სავანგებოდ, სწორედ ამისთვის ჩამოვფრინდი.

**— თბილისელთაგან ვინა გყავთ აღნიშნული უბის წიგნაკში?**

— თითქმის მთელი გუნდი, თუმცა უფრო მეტ ყურადღებას ახალგაზრდების მიმართ ვიჩენ — შენგელია, დარასელია, კოსტავა. რამაზმა, მართალი გითხრათ, გამახარა, ვიტალი ჩვეულებრივზე ნაკლებ შესამჩნევი იყო. თამაზს კი ალბათ ბევრი მუშაობა დასჭირდება იმისთვის, რომ შარშანდელს დაემსგავსოს.

**— მინაევის გოლმა ცივი შხაპი გადაასხა მთელ სტადიონს. რა იყო ეს, შემთხვევის ზეიმი თუ კანონზომიერება?**

— ვფიქრობ, შემთხვევა. ქართველი ფეხბურთელები უთუოდ ღირსნი იყვნენ კიდევ ორი ქულა მიემატებინათ თავიანთი მონაგრისთვის. გოლის მიზეზი კი ფეხბურთელთა წუთიერი მოდუნება და ის აჩქარებაა, ტრიბუნამ რომ გამოიწვია. ეს იყო გუნდისა და მაყურებლის ერთობლივი შეცდომა. ბევრ ქვეყანაში გატანილი გოლის შემდეგ სტადიონი ამღერდება ხოლმე — გოლის, დიდი დაძაბულობის კულმინაციის მერე გუნდს ამოსუნთქვა, მაჯისცემის დამშვიდება ესაჭიროება. კვირის მატჩში კი ყველა ითხოვდა — კიდევ ერთი, კიდევ ერთიო და... სახლებში განაწყენებულნი წავიდნენ.

**— ხომ არ გაართულებს ეს ფრე თბილისელთა სატურნირო მდგომარეობას?**

— განგაშის ატეხვა, რა თქმა უნდა, ადრეა. თუმცა, გუნდს, რომელიც ოქროს მედლებზე აცხადებს პრეტენზიას, არა აქვს უფლება თუნდაც ერთი ქულა დაკარგოს საკუთარ მინდორზე, განსაკუთრებით კი მეორე წრეში. მაგრამ, მოდით, გამართლებაც მოვძებნოთ: მოსკოველები თქვენი უხერხული მეტოქენი არიან, ლიდერთან ყველა თავგამოდებით იბრძვის, და ბოლოს სტადიონი! აქ წარმოუდგენელია ცუდად თამაში და იქნებ ამიტომაც, ზედიზედ მეორე წელია პილგუი ნამდვილად ბენეფისს იხდის თქვენს ქალაქში. მე/მესმის მისი, მშურს კიდეც, რომ/არ შემიძლია იგივე გავაკეთო.

[illegible] კარგად გვახსოვს ვიქტორ პონედელნიკის [illegible] მატჩები ძველ სტადიონზე!

— სხვანაირად არც შეიძლება — მე ხომ ამ სტადიონზე ვისწავლე ფეხბურთის თამაში. 1941 წელს ჩვენი ოჯახი როსტოვიდან თბილისში გადმოსახლდა — ევაკუირებულთა შორის მოვხვდით. კარგა ხანს, ომის დამთავრებამდეც და მერეც თბილისში ვცხოვრობდით, სტადიონთან საკმაოდ ახლოს, პლეხანოვის პროსპექტზე. იმ მინდორზე ფეხშიშველას ბევრი გოლი გამიტანია კარში.

**— როგორც ყოფილი თბილისელი, რა ნაკლს ხედავთ ჩვენს გუნდში?**

— გუნდს ჯერ კიდევ აკლია საჩემპიონო ბრწყინვალება. სხვანაირად, მას ჯერ კიდევ ვერ ურწმუნებია საკუთარი შესაძლებლობანი. ხანდახან მომინდება შევუძახო ხოლმე — ბიჭებო, გაბედულად! თქვენ ხომ მეტი შეგიძლიათ. ცენტრალურ პრესაში ვწერდი, რომ დინამოელთა პირველი წრის მატჩი მოსკოვში თავისი შინაარსით, სანახაობრივადაც მსოფლიო სტანდარტების დონისა იყო და გუნდმა მიზნად უნდა დაისახოს ამ დონის ნორმად გადაქცევა. საამისო პოტენცია კი არის. მჯერა, რომ წლეულს თბილისელები კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს დაიპყრობენ. ახალკაცი, ასათიანი და ქუტივაძე გვიჩვენებენ გუნდის არა საჩვენებელ, სავამოფენო, არამედ სამუშაო, მოქმედ მოდელს, რომელიც დღითიდღე იცვლება, უმჯობესდება და უთუოდ გახდება ისეთი, როგორის ნახვაც გვსურს!

საუბარი ჩაიწერა
თ. სულხანიშვილმა.

**ფეხბურთი**

## საკონტინენტთაშორისო თასი არგენტინელებს

**არგენტინულმა** საკლუბო გუნდმა „ბოკა ხუნიორსმა“ გფრ-ის ქალაქ კარლსრუეში საპასუხო მატჩი მოუგო მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ — 3:0 და „საკონტინენტთაშორისო თასს დაეუფლა. პირველი შეხვედრა ბუენოს-აირესში დამთავრდა ფრედ — 2:2.

მეორე წუთზე ანგარიში გახსნა სალინასმა. 33-ე წუთზე მასტრანჯელომ „ბორუსიის“ კარში მეორე გოლი გაიტანა. 5 წუთის შემდეგ კი ისევ სალინასმა გამოიჩინა თავი.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, მეორე და მესამე გოლი გფრ-ის ნაკრების მცველისა და კაპიტნის ფოგტსის სინდისზეა. „ბორუსიის“ შემადგენლობაში გამოდიოდა შარშანდელი სეზონის ევროპის № 1 ფეხბურთელი დანიელი სიმონსენი. ამ დღეს გუნდის შემადგენლობაში არ იყო ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი ბონჰოფი, რომელიც ახალ სეზონში ესპანეთის „ვალენსიაში“ ითამაშებს.

### პირველი ლიგა

**გუშინწინ** შედგა I ლიგის საკავშირო პირველობის 23-ე ტურის მატჩები.

ქუთაისის „ტორპედომ“ სტუმრად ზაპოროჟიეში, ადგილობრივ „მეტალურგთან“ წააგო — 0:2.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „კუზბასი“ (კემეროვო) — „დინამო“ (მინსკი) 2:2, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 1:2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 3:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:2, „თერგი“ (გროზნო) — ასკ (ოდესა) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:0, „პამირი“ (დუშანბე) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 3:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „კარპატი“ (ლვოვი) 2:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ასკ (როსტოვი) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვ“. | 22 | 12 | 7 | 3 | 30—15 | 31 |
| „კარპატი“ | 21 | 11 | 5 | 5 | 30—19 | 27 |
| „ყუბანი“ | 22 | 10 | 7 | 5 | 32—21 | 27 |
| „დინ.“ მნ. | 21 | 10 | 7 | 4 | 31—21 | 27 |
| ასკ რ. | 22 | 8 | 11 | 3 | 37—23 | 27 |
| „ნისტრუ“ | 22 | 9 | 7 | 6 | 27—20 | 25 |
| „ჟალგირ“. | 21 | 7 | 10 | 4 | 26—21 | 24 |
| „ტავრია“ | 22 | 8 | 7 | 7 | 28—21 | 23 |
| „კუზბასი“ | 22 | 8 | 7 | 7 | 25—25 | 23 |
| „ტორპედო“ | 22 | 8 | 6 | 8 | 24—23 | 22 |
| „თერგი“ | 22 | 8 | 5 | 9 | 28—33 | 21 |
| „სპარ“. ი.-ფ. | 22 | 8 | 4 | 10 | 23—24 | 20 |
| „პამირი“ | 22 | 5 | 10 | 7 | 22—20 | 20 |
| „მეტალურ“. | 22 | 5 | 10 | 7 | 21—27 | 20 |
| ასკ ოდ. | 22 | 6 | 7 | 9 | 24—29 | 19 |
| „შინიკი“ | 19 | 6 | 6 | 7 | 16—19 | 18 |
| „დინ“. ლ. | 22 | 5 | 8 | 9 | 28—35 | 18 |
| „ურალმაში“ | 22 | 5 | 6 | 11 | 15—28 | 16 |
| „კოლხოზ“. | 22 | 4 | 6 | 12 | 18—34 | 14 |
| „სპარტ“. ორ. | 22 | 4 | 4 | 14 | 15—32 | 12 |



საქართველოს „მფრინავმა მოთხილამურეებმა“ შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს — 30 ივლისს ბაკურიანში საზეიმოდ გაიხსნა 40-მეტრიანი ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინი, რომელზეც რესპუბლიკური პირველობაც ჩატარდა.

სურათზე: ტრამპლინის საერთო ხედი. ი. ტერტერიანის ფოტო.

### „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ ოცდამეათე ტირაჟისა, რომელიც 29 ივლისს მოსკოვში მოეწყო.

პირველი: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 128, სამისთვის — 5.

მეორე: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება აქაც 5000 მანეთია, ოთხისთვის — 119, სამისთვის — 5.

**ჩოგბურთი**

**24 წლის** უნგრელი ჩოგბურთელი ბ. ტაროცი მიმდინარე სპორტულ სეზონში რისხვად მოევლინა მსოფლიოს მოწინავე ჩოგბურთელებს. ასე მაგალითად, ჰოლანდიის ღია ჩემპიონატში, რომელიც ჰააგაში ჩატარდა, გადამწყვეტ შეხვედრაში ტაროცი შეხვდა ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს, უიმბლდონის წლევანდელი ტურნირის ნახევარფინალისტს ტ. ოკერს და დაამარცხა იგი ოთხ პარტიაში — 2:6, 6:1, 6:2, 6:4. უნგრელმა ჩოგბურთელმა მეორედ მოიპოვა ჰოლანდიის ჩემპიონის სახელი. პირველად მან 1976 წელს გაიმარჯვა.

**მძლეოსნობა**

**კოლორადო-სპრინგსის** (აშშ) სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სარბენ ბილიკზე კვლავ გამოჩნდა 29 წლის სპრინტერი ე. ჰარტი და 100 მეტრი 10,07 წამში გაირბინა. ეს წლეულს საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

აქვე უ. სნოდიმ 200 მეტრზე 20,27 აჩვენა, ხოლო ჯ. უოკერმა 400 მეტრზე თარჯრბენით ასპარეზობაში იმარჯვა — 48,95. ნაკლებად ცნობილმა მ. ბეიკერმა 227 სმ სიმაღლე დაძლია და უკან ჩამოიტოვა აშშ-ს რეკორდსმენი ფ. ჯეკობსი.

**ჭადრაკის ჩოგბურთი**

**ესპანეთის** ქალაქ ბარსელონაში საბჭოთა იუნიორი მაგიდის ჩოგბურთელების დიდ წარმატებაზე გუნდურ ასპარეზობაში ჩვენი გაზეთი უკვე იტყობინებოდა. დავუმატებთ, რომ პირად შეჯიბრებებში კონტინენტის ჩემპიონის წოდება უმცროსი ასაკის (14 წლამდე) გოგონებს შორის მოიპოვა დუშანბელმა ი. კოვალენკომ. უფროსი ასაკის (18 წლამდე) ქალიშვილებს შორის წყვილთა შეჯიბრებაში ჩემპიონები გახდნენ სუმგაითელი ვ. პოპოვა და ერევნელი ნ. ანტონიანი. მაგნიტოგორსკელმა ი. სოლოპოვმა ფინალში წააგო ჩეხოსლოვაკიელ ი. პანსკისთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**
(აკ. წერეთლის პრ. №2)

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის ჩემპიონატი
„დინამო“ (თბილისი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა)

6 აგვისტო
სათადარიგო შემადგენლობა
დასაწყისი 19 ს.

7 აგვისტო
ძირითადი შემადგენლობა
დასაწყისი 20 ს.

ბილეთები გაიყიდება: ორგანიზაციებზე — 3 და 4 აგვისტოს 10 საათიდან; საერთო გაყიდვა — 6 და 7 აგვისტოს 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში. უამინდობის შემთხვევაში სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გადატანილი იქნება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 101228